ხელშეკრულება № 02-03/210

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 22 დეკემბერი 2023 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ (ქ. ბათუმი ბაქოს ქ. №18) (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის რაულ თავართქილაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „პირა“ (შემდგომში - ,,მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა ჩიხლაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“ „„თვე“ - კალენდარული დღე,კვირა, თვე, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“–პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“–ს მიერ 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აჭარის ა.რ ბიუჯეტის სახსრებით, (პროგრამა 070701) საკაბელო ტელექსელით მომსახურების (CPV 92230000 - რადიო და სატელევიზიო საკაბელო მომსახურება) (შემდგომში „მომსახურება“), შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1–ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **360,00 (სამასსამოცი)** ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საკაბელო ტელექსელით მომსახურება 24 საათიან რეჟიმში;

ბ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
გ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;
გ) გადაიხადოს გაწეული მომსახურების ღირებულება სრულად ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

5. მომსახურების ხარისხი

5.1 განხორციელებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ამირან გაგუა.
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას.

7. მომსახურების მოწოდების ადგილი, პირობები და მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მოწოდება ხორციელდება 2024 წლის 1 იანვრიდან უწყვეტად და გრძელდება 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მომსახურების მოწოდება განხორციელდება 24 საათიან რეჟიმში, ეტაპობრივად, შემსყიდველის მისამართის მიხედვით: ბათუმი,,ბაქოს ქუჩა N18.
7.2 მომსახურების მიღება განხორციელდება ყოველ კვარტალურად მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებით.
7.3 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღებას აწარმოებს: **ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ამირან გაგუა.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე ჩარიცხვით.
8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის ,,ა'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
10.2 გაწეული მომსახურების ღირებულების შემსყიდველის მიერ გადახდის ვადის გადაცილების ან ღირებულების არასრულად გადახდის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, ვალდებულების არადამრღვევი მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს ვალდებულების დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ვალდებულების დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

11.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერშეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად, მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების მხარეთა მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების თარიღიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდება ზეემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, დამოწმებულია მხარეების მიერ კვალიფიციური

ელექტრონული ხელმოწერით/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით და ინახება მხარეებთან.

16.3 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ რეკვიზიტებში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ აცნობოს შემსყიდველს.

ინტერესთა კონფლიქტი

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

17. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი”	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“	შპს „პირა“
მის. ქ. ბათუმი ბაქოს ქუჩა N18	მის. ქ. ბათუმი, პუშკინის ქ., N 172, ბ. 6
ს/კ 445399391	ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22
დირექტორი	ა/ა GE28TB 7827 5360 7010 0001 ს/კ 445440210
რაულ თავართქილაძე	დირექტორი
	მანანა ჩიხლაძე

Raul Tavartkiladze

Подписано цифровой подписью: Raul Tavartkiladze
Дата: 2023.12.22 17:34:29 +04'00'

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი	მომსახურების დასახელება	ზომის ერთეული	ტელევიზორების რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (თვე)	საერთო ღირებულება (ერთი თვე)	თვეების/დღეების რაოდენობა	მთლიანი ღირებულება (ლარი)
1	CPV კოდი 92230000 რადიო და სატელევიზიო საკაბელო მომსახურება	საკაბელო ტელექსელით მომსახურება	ცალი	3	10,00	30,00	12 თვე	**360,00**
	სულ ჯამი:						**ლარი**	**360,00**

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“

დირექტორი

რაულ თავართქილაძე

Raul Tavartkiladze

Подписано цифровой подписью: Raul Tavartkiladze
Дата: 2023.12.22 17:35:16 +04'00'

შპს „პირა“

დირექტორი

Digitally signed